აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

4 ივნისი, 2018

დადგენილება №99(17/18)
აგრარული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სადისერტაციო ნაშრომისა და ავტორეფერატის გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს აგრარული ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სადისერტაციო ნაშრომისა და ავტორეფერატის გაფორმების წესი თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

სადისერტაციო ნაშრომისა და ავტორეფერატის გაფორმების საკითხები

1. სადოქტორო დისერტაციის მოცულობა არ უნდა იყოს 150 გვერდზე ნაკლები;

2. სადისერტაციო ნაშრომის გვერდების ნუმერაცია იწყება სატიტულო თავფურცლიდან (გვერდიდან), სატიტულო თავფურცელზე არ დაისმება ციფრი 1. მთელ ტექსტში ნუმერაცია დაისმება ფურცლის ბოლოს, მარჯვენა კუთხეში.

3. ავტორეფერატის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ ნაბეჭდ თაბახს. იგი უნდა შეიცავდეს ქართულ ტექსტს და მის სრულ თარგმანს რომელიმე საერთაშორისო ენაზე.

4. დისერტაციაში სასვენი ნიშნები გამოიყენება ქართული ენის გრამატიკის წესების შესაბამისად. აღნიშნულთან მიმართებაში გასათვალისწინებელია შემდეგი ნორმები: - წერტილი არ დაისმის სათაურის, ასევე, ცხრილის (სქემის) ბოლოს; - მიღებული წესების გარდა, ინტერვალი გამოიყენება ზომის ერთეულისა და რიცხვის გამიჯვნისას, ასევე დიდი რიცხვების შემთხვევაში. ინტერვალი არ გამოიყენება რიცხვების და გრადუსების (პროცენტების, ხარისხის მაჩვენებლების) გამოსახვისას.

დისერტაციის ყოველი ახალი თავი იწყება ახალი გვერდიდან (სათაური მსხვილი შრიფტით). იგივე წესი ვრცელდება ნაშრომის ზოგიერთი სხვა ნაწილის მიმართაც (შესავალი, დასკვნები და წინადადებები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, დანართები). ჩამოთვლილი სტრუქტურები თავსდება სტრიქონის შუა ნაწილში.

ცხრილების გაფორმებისას უნდა მიეთითოს ცხრილის თემატური დასახელება, ნომერი მარჯვენა ზედა ნაწილში (ნომრის ნიშნის და წერტილის გარეშე). ცხრილის მომდევნო გვერდზე გადატანისას საჭიროა გრაფების გადანომვრითი გადატანა, ცხრილის სათაურის გადატანის გარეშე; საილუსტრაციო მასალა (ფოტოსურათი, ნახატი...) ინომრება და ფურცლის ქვედა ნაწილში მიეთითება შინაარსიდა ნგამომდინარე წარწერა.

5. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის აღნუსხვისას მიზანშეწონილია ანბანური მეთოდის გამოყენება. ნუსხა იწყება ქართული ლიტერატურითა და წყაროებით და გრძელდება უცხოენოვანით, შესაბამისი ენებისათვის, ასევე, ანბანური მეთოდით.

ა) ლიტერატურა მითითებული უნდა იყოს პირველი ავტორის გვარის ანბანური თანმიმდევრობით ან ლიტერატურის მიმოხილვაში მოცემული მიმდევრობის მიხედვით.

ბ) მონოგრაფიის მითითებისას საჭიროა ავტორის (ავტორთა) გვარისა და ინიციალის, ნაშრომის სახელწოდების, გამომცემლობისა და გამოცემის წლის, აგრეთვე, გვერდების საერთო რაოდენობის მითითება;

გ) საჟურნალო სამეცნიერო ნაშრომის მითითებისას უნდა აღინუსხოს: ავტორის (ავტორთა) გვარი და ინიციალი, ნაშრომის სახელწოდება, ჟურნალის სახელწოდება, გამოცემის წელი, ნომერი (ტომი), ნაშრომის საწყისი და საბოლოო გვერდების ნომრები. (იგივე წესი ვრცელდება საგაზეთო სტატიიდან ციტირების შემთხვევაშიც);

დ) საარქივო მასალების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს არქივის (დაწესებულების) სრული დასახელება, სადაც ინახება დოკუმენტი, ფონდის დასახელება და ნომერი, საქმისა და ფურცლის ნომრები;

ე) საავტორო მოწმობის, გამოგონების (გამოგონების პატენტის) მითითებისას მოხსენებულ უნდა იყოს ყველა ავტორი, საავტორო მოწმობისა და გამოგონების (გამოგონების პატენტის) სახელწოდება, განაცხადის შეტანის თარიღი, ბიულეტენის ნომერი;

ვ) სამართლებრივ-ნორმატიული აქტების გამოყენებისას მიეთითება აქტის სრული სახელწოდება, მიმღები ორგანო, ნომერი, მიღების თარიღი, გამოქვეყნების წყაროს სახელწოდება, გამოქვეყნების თარიღი და აქტის განთავსების საწყისი და საბოლოო გვერდების ნომრები;

ზ) კრებულიდან ციტირებისას უნდა მიეთითოს გამოყენებული ნაშრომის სრული დასახელება, კრებულის გამომცემი ორგანო (უწყება), წელი, გამომცემლობა და გვერდების ნომრები;

თ) დისერტაციით (ავტორეფერატით) სარგებლობისას უნდა მიეთითოს ავტორის გვარი და ინიციალი, სადისერტაციო ნაშრომის სრული დასახელება, საძიებელი დარგი და ხარისხი, დისერტაციის წარდგენის ადგილი, წელი და შესაბამისი გვერდი;

ი) ინტერნეტიდან ელექტრონული დოკუმენტის გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს სერვერის დასახელება, მისამართი ან მონაცემთა ბაზა;

კ) ელექტრონული ინტერნეტ-გამოცემების გამოყენებისას უნდა მიეთითოს ავტორის გვარი და ინიციალი, ნაშრომის სრული სახელწოდება, გამოცემის ნომერი, წელი, სერვერის სრული დასახელება და ინტერნეტმისამართი;

6. ბიბლიოგრაფიული ციტირების ძირითადი მეთოდია ავტორის/წყაროს გვერდის ბოლოს (სქოლიოში) ციტირება, რომლისთვისაც გამოიყენება უფრო წვრილი ზომის (10) შრიფტი; დისერტაციის ბოლოს კეთდება გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;

7. დისერტაციის დანართი (საჭიროების შემთხვევაში) იწყება გამოყენებული ლიტერატურის სიის შემდეგ. ყველა დანართი იწყება ახალი გვერდიდან და მის მარჯვენა ზედა ნაწილში მიეთითება: ,,დანართი №...“ (სადისერტაციო ნაშრომის ძირითად ტექსტსა და დანართს შორის კავშირი მყარდება სიტყვებით: ,,იხილეთ დანართი №...“). ცხრილებისა და დიაგრამების გაფორმებისას უნდა მიეთითოს ცხრილისა და დიაგრამის თემატური დასახელება და ნომერი გვერდის მარჯვენა ზედა ნაწილში. ცხრილისა და დიაგრამის მომდევნო გვერდზე გადატანისას საჭიროა გრაფების გადანომვრითი გადატანა ცხრილისა და დიაგრამის სათაურის გადატანის გარეშე. დანართში განთავსებული საილუსტრაციო მასალა ინომრება და ფურცლის ქვედა ნაწილში მიეთითება შინაარსიდან გამომდინარე წარწერა.